№ 224  28 ოკტომბერი, ხუთშაბათი.  1866—1882  28 ოკტომბერი, ხუთშაბათი. № 224.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.
ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერმანელის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.
„დროების“ ფასი:
მთლის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისათვის
დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილის ასოთა სტრიქონზე 8 კაპ.
თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.
ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

არწრუნის თეატრი
დღეს, 28 ოქტომბერს
ქართული დრამატიული დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
I
თვალთ-მაქცობა
კომედია 2 მოქმედებად.
II
გულმა იგრძნო
ვოდევილი 1 მოქმედ.
III
დედა და შვილი
დრამატ. სცენა 1 სურათ. ლექსად,
თ. ი. ჭავჭავაძისაგან.
დასაწყისი 8 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ქაირი, (ეგვიპტე), 25 ოქტომბერს. ქაბაში ხოლერა გაჩნდა. ეს ამბავი ოფიციალურად გამოცხადებულია.

პეტერბურღი, 26 ოქტომბერს. მოსკოვის გაზეთები შუამდგომლობენ, რომ კავკასიის ტრანზიტის საქმის განხილვა ბირჟის საზოგადოებიდამ ამორჩეულ პირთ მიენდოსო.

პეტერბურღის ბირჟა, 26 ოკტომბ.

| | | |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
| პირველი გამოცემისა — | 95 — | „ |
| მეორესი — — — — | 90 — | 50½ |
| მესამესი — — — — | 91 — | „ |
| მეოთხესი — — — | 90 — | 50 |
| მეხუთესი — — — | 90 — | 5 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 88 — | 62 |
| აღმოსავლეთის მეორე | 88 — | 62 |
| აღმოსავლეთის მესამე | 88 — | 62 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 — | 18½ |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 210 — | „ |
| მეორე სესხის — — | 202 — | 75 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24 — 12 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205 — „ | ცენტი |
| პარიჟი — — | 254 — „ | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## დღიური

როგორც ამას წინად გამოვაცხადეთ, გუშინ, სამშაბათს, 26 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო ჩვენი გაზეთის ახლანდელი რედაქტორის ს. ს. მესხის, ადრინდელი რედაქტორის ამავე გაზეთისა თ. ი. გ. ჭავჭავაძისა და კორრესპონდენტის თ. ი. ქ. აბაშიძის საქმის განხილვა ქუთ. საგლეხო პრისუტსტვიის წევრის ბატ. სირძაპუტოვსკის საჩივრის გამო („სასჯელთა წესდების“ მე-1039 მუხლით—დიფამაციით).

თ. ი. აბაშიძისაგან წარდგენილ დოკუმენტების წაკითხვისა და მოწმეების (თვითონ ბ. სერჟპუტოვსკისა და ბ. ლენჩევსკის) ჩვენების მოსმენის შემდეგ, პროკურორმა (ბ. ბიკოვმა) თავის გასამტყუნებელ სიტყვაში მოითხოვა, რომ კორრესპონდენტი დასჯილი იქმნეს სამის თვით ციხეში ჩასმით, რედაქტორი სერ. მესხი—ოცდა-თის თუმნის ჯარიმის გადახდევინებითა და თ. ი. ჭავჭავაძე, რომელიც მხოლოდ ოფიციალურად ითვლებოდა „დროების“ რედაქტორად—ოცდა-ხუთი მან. ჯარიმითა.

სასამართლომ გადაუწყვიტა: კორრესპონდენტს თ. ი. აბაშიძეს ერთი თვით ციხეში ჩასმა, რედ. სერ. მესხს (უყურადღებობისათვის კორრესპონდენციების ბეჭდვის დროს)—ათი თუმანი ჯარიმა და თ. ი. ჭავჭავაძეს—ორ თუმან ნახევარი ჯარიმა.

***

აქ ზემოხსენებულ საქმის განხილვის დროს მოჩივარის მოწმემ გადამდგარ ინჟინერმა ბ. ლენჩევსკიმ თავის ჩვენებაში, სხვათა შორის, სთქვა, რომ გაზ. „დროებაში“ მეც ბევრჯერ ვიყავი ცუდათ ხსენებულიო, მაგრამ ყურადღება არ მივაქციეო, რადგან „დროება“ ისეთი გაზეთია, რომლის სიტყვას ყურადღების ღირსიც არ არისო, და ამიტომ არ ვიჩივლე იმაზედაო.

ბ. ლენჩევსკის რომ ყურადღება მიუქცევია და აქცევს კიდეც ჩვენი გაზეთისათვის, ეს იქიდამ სჩნდა, რომ როცა „დროებას“ ახსენებდა, პირიდამ დორბლები მოდიოდა. თუ გულწრფელად სთქვა, ეს კიდევ უარესი: ვინ არ აქცევს გაზეთის სიტყვას ყურადღებას?

რაიცა შეეხება იმას, რომ ბ. ლენჩევსკი ცუდის აზრის არის ჩვენს გაზეთზე—ამაზე უნდა ვთქვათ მხოლოდ, რომ ჩვენთვის ძალიან სამწუხარო იქნებოდა, ბ. ლინჩევსკი და იმის მსგზავსი კაცები რომ ჩვენს გაზეთზე კარგის აზრის ყოფილიყვნენ...

***

ოზურგეთიდან გვწერენ:

ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსიას, რომელიც იხელდა ოზურგეთის საქმეებს 6 გასულ ენკენისთვის რიცხვიდან 9 ოქტომბრამდე, სხვათა შორის, განუხილავს შემდეგი სამი საყურადღებო საქმე. (სესსიას შეადგენდნენ სასამართლოს წევრნი ბ. მ. ე. ზეგიძე და ო. ბ. რაჩკეეიჩი პროკურორის თანაშემწე ტრუველიერი, სეკრეტარი ზამყრელიძე და ოზურგეთის მაზრის გამომძიებელი ბ. მასლოვი).

ერთი საქმე იყო შარშან ბ. თაყაიშვილის მოკვლისა, რაშიაც ბრალი ედებოდათ, თაყაიშვილის სიმამრს ნ. ზოგელიას, ამის მეუღლეს, შალიკაშვილის ქალს, ამათ ქალს (მოკლულის ცოლს) და ერთ ახალგაზრდა ელისე კალანდარაშვილს. სესსიამ გადუწყვიტა 12 წლის კატორღა ნ. ზოგელიას, 7 წ. კალანდარაშვილს 6 წ. ციმბირი მოკლულის ცოლის.

მეორე საქმე—ალ. და იოს. თუმანიშვილებისა, რომელნიც ბრალსა

«დროების» ფელეტონი, 28 ოკტ.

### მამის-მკვლელი

(მოთხრობა *)

დამშეული, გაწვალებული, დაღონებული რუსის ჯარი გამაგრდა მინდორზედ, მაგრამ ვაი იმ გამაგრებას! ყოველის მხრიდგან შეკრული გზები, ყოველს წუთს შიში, რომ რომელსამე გზა დაკარგულს ტყვიას, რომელიმე კაცი არ გაეციებინა, ან კიდევ თავზედ ხელ-აღებული ჩეჩნები არ დასცემოდნენ და ღლე არ გაემწარებინათ იმათთვის! ამათ გარშემო მოისმოდა განუწყვეტლივი სიმღერა გახარებული ჩეჩნების, რომელნიც განუწყვეტლივ გამოჰკიოდნენ ქართველებს, ჩერქეზებს და ოსებს, რომ თუ უნდოდათ ამათ თავისუფალს გზას მისცემდნენ, რადგანაც ჩეჩნები იმათ კეთილ-მეზობლებად სთვლიდნენ და იმათი ხოცვა არ უნდოდათ. მაგრამ ერთხელ გამწარებულნი კავკასიელნი, რომელთაც ახსოვდათ მოძმეთ სისხლი ისე უწყალოდ დანთხეული წასრულ ბრძოლაში, გადახდევინების სურვილით ინთოდნენ. მარტო ჩინისა და პატივისთვის წამოსულნი ერთბაშად გამძვინვარებულ მტრად გადაიქცნენ. ასეთია ომის ძალა, ასეთი მოქმედება აქვს სისხლის დანახვას და თოფის წამლის სუნს ადამიანზედ!

ამ მინდორზედ ელოდა სარდალი, ელოდა თითონ ჯარიც, მაგრამ რას ელოდნენ თითონაც არ იცოდნენ, რადგან არსაიდგან მოშველების იმედი არა ჰქონდათ და აშკარად ხედავდნენ, რომ დღეს თუ ხვალ შიმშილის გამო უნდა იარაღი დაეყარათ და ტყვეობა ეკისრათ, რადგანაც უკან გასასვლელად რამდენიმე ცდამ ამაოდ ჩაუარათ და ურიცხვი ხალხი დააკლოთ.

უველანი დამშეულნი, შეწუხებულნი, დაღრემილის სახით და გულგატეხილნი, დღითი დღე ატარებდნენ წარმოუთქმელს მწუხარებაში და თანდა-თან შიმშილი მეტად აგრძნობინებდა თავის მოქმედებას.

სარდალმა უეჭველს საჭიროებად დაინახა, რომ ტფრეიტაგისათვის შეეტყობინა თავისი მდგომარეობა, და ჯარის გაჭირვება, რათა იმას მოეგრიებინა და მოეშველებინა დანარჩენი ჯარები, მოეტანა სურსათი და ამ გვარად სულ მობრუნებულს ჯარს უკანასკნელად ეცადა უკან გასვლა; მაგრამ ვინ იქნებოდა ისეთი გამბედავი, რომ თავს შაედო იმ ტყეში გასვლა, სადაც ჭიანჭველსავით ირეოდა ფთხილი და გამოჩენილი მებრძოლნი—ჩეჩნები?

სარდალი, რადგანაც ყველაზედ ვაჟკაცათ და გამოცდილად ამ გვარს საქმეებში უყურებდა ყაზახებს, ამისთვისაც მიექცა ამ სურვილთ იმათ, მაგრამ ისეთი კაცი არ აღმოჩნდა, რომელსაც მთელი ჯარისთვის თავი გადაედო. სჩანდა რომ ათზედ ასის მისვლა უფრო ეადვილებოდათ იმათ, სანამ მართლა სარაინდო მოქმედება.

სარდალს არ უნდოდა, ნება უნებლივ, სხვა გვარტომობის პირისთვის მიენდო ასეთი სავაჟკაცო საქმე, რადგანაც სახელის დამსახურება რუსებისგან უნდოდა და პირველში ამათ მეტსაც არავის ენდობოდა.

მაგრამ რადგანაც ამ საქმის შემსრულებელი რუსებთაგანი არ ვინ აღმოჩნდა, ის ნება უნებლივ, მიექცა მთელს ჯარს. რა წამს გაახსენა თავისი სურვილი, რა წამს ბაგე დასძრა, ასამდინ მსურველი გამოვიდა ჩერქეზებთაგან, თუშებთაგან და დანარჩენი მთიელი ქართველებთაგან. გახარებულმა სარდალმა აარჩივა ათი კაცი, რომელთ შორის ერთა პოლკოვნიკი ათაქუყოც, სწორეთ ის ათაქუყო, რომელსაც ამ რამდენიმე დღის წინ სილაჩრე შესწამა.

— როგორ, ბატონო პოლკოვნიკო! თქვენ გინდათ მიიღოთ თქვენს თავზედ?... გაკვირვებით შეხედა სარდალმა.

— დიაღ, თქვენო ბრწყინვალებავ! ჩემისთანა ლაჩრები ხანდისხან გაჭირვებაში გამოდგებიან ხოლმე. მოაგონა ათაქუყომ წარსული ლაპარაკი.

სარდალი გაწითლდა და უთხრა.

— მე ყოველთვისინ დარწმუნებული ვიყავ კავკაზიელთ გულადობას.... ეხლა მთელი ჯარი თქვენს ხელთ არის, თქვენ იცით როგორც მოიქცევით.

— ისე მოვიქცევი, როგორც ღმერ-

*) იხ. „დროება“, № 223.

სდებდნენ ზოგია ქვაჭანტირაძეს, რომ ეს სიკვდილსა და გადაწვას გვექადდებათ. ბრალდებული გაამართლეს. ქვაჭანტირაძეს იცავდა, სრულებით უსასყიდლოდ ვექილი ბ. ნ. ყიფიანი. ამ საქმის ამ რიგად დაბოლოება ესიამოვნა საზოგადოებას, რადგან ზ. ქვაჭანტისაძე ისეთ კაცად არ არის აქ ნაცნობი, რომ მართლა ბრალად დასდებოდა ეს ყოვლად უსაფუძვლოდ მოგონილი ამბავი ბ.ბ. თუმანიშვილებისაგან.

მესამე საქმე—მიცვალებულის ზურიის ეპისკოპოსის გაბრიელის გაცარცვა. ორმოცდა-თექვსმეტი მოწმის ჩვენების შემდეგ რვა დამნაშავეთაგან დაჰკარგეს სამი: ზ. ჯორბენაძე 12 წ. კატორღაში, შერ. ჭყონია—16 წ. და გ. ქვაჭაძე 8 წ. ამ საქმის გარჩევამ გამოაშკარავა ბევრი საზიზღარი მოქმედება ერთის პოლიციის მოხელესი.

* * *

ჩვენი კორრესპონდენტი, ს-ის-მ-ი შორაპნის მაზრიდან გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა:

ამას წინედ მე ვაცნობე „დროების“ მკითხველებს ბრძანების გამოსვლა მთავარ-მმართებელისა შესახებ საპატიო მომრიგებელ მოსამართლეების დანიშვნისა. წინადადებაც მივეცი ეთქვათ რამე ჩვენ ნასწავლ იურისტებს ამ კაცების დანიშვნის სარგებლობა და უსარგებლობაზე, მაგრამ ისინი გაკრეპდენ და არაფერი არა მოგვითხრეს. ამ თანამდებობაზე პირების ალ... ჰქონდათ მინდობილი. მაგრამ ჩვენში მომრიგებელმა მოსამართლემ მარტო თავის თავზე არ მიიღო ამ მონდობილების აღსრულება. მან მოიწვია მაზრის უმფროსი, მომრიგებელი შუამავლები (პოსრედნიკები) და მაზრის მარშალი. ამათ ერთხმად აღარჩიეს ოთხი პირი: გიორგი მეთიმეს-ძე წერეთელი, თავადი ბეჟან წერეთელი, აზნაური ს.—აბდუშელიშვილი და თავადი დავით აბაშიძე. საზოგადოება დიდს პატივისცემას უცხადებს ამათ აჩისთანა პატიოსანი პირების აღსრჩევისათვის. დანარჩენი ამ საპატიო პირებზეა დამოკიდებული.

* * *

კავკასიის პოჩტის მმართველობა აცხადებს, რომ გზა ახალციხესა და ახალქალაქსა შორის გახსნილია, რადგან ხიდი მტკვარზე სოფ. მინაძესთან შეაკეთეს.

## სოფლის მღვდლის წერილები

გაბედვით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დღეს იმდენი არც ერთ წოდებაზე არ იწერება გაზეთებში, ცუდის მხრით, რამდენსაც სწერენ სამღვდელოებაზე. გაზეთების ხმები—თუ მიიღო კაცმა სახეში, გამოიყვანთ იმ დასკვნას, რომ ამ წოდებაზე უცუდესი წოდება სახელმწიფოში არ არის. გაზეთების სიტყვით სასულიერო წოდება თითქმის ზნეობითად დაცემულია... საუბედუროდ, მარტო გაზეთების სიტყვით კი არა, მრავალი ჩვენი ესრეთ წოდებულის განათლებული საზოგადოების აზრითაც, ვითამც სასულიერო წოდება სუყველა წოდებაზე ძირს დგას!..

მრთელს სახელმწიფოში არ არის ისეთი წოდება, რომელშიაც ბოროტი და ზნეობით დაცემული პირება არ ერიოს. ქვეყანაზედ სცხოვრებენ კაცები და არა ანგელოზები. კაცებს ყოველთვის აქვს თავისი ნაკლულევანება. მღვდლებიც კაცები არიან. ვინ იტყვის იმას, რომ იმათშიაც არ ერიონ ისეთი პირები, რომელნიც ზნეობითად ძლიერ ძირს იდგნენ? ვინ იტყვის, რომ ამათშიც არ გამოერიოს ცუდი ხასიათის და ცუდი მოქმედების ჩამდენნი პირები?

რუსეთის სახელმწიფოში ორმოცი ათასამდინ მღვდლები ირიცხებიან. რა გასაკვირველია, რომ ამდენ რიცხვში რამდენიმე დაცემული ზნის და ხასიათის მღვდელი გამოერიოს? იესო ქრისტეს თორმეტი მოციქული აღირჩია. თორმეტივეს ერთნაირად ასწავლიდა და უქადაგებდა. ვილას უკეთეს მქადაგებელს და მოძღვარს იმოვიდნენ იგინი! მაგრამ დახედეთ კაცის ბუნებას: ამ თორმეტ მოწაფეში ერთი თავის მოძღვრისავე გამცემელი გამოვიდა. რა დაუშავა მას თავისმა მოძღვარმა? თავის მოძღვარს მისთვის არაფერი არ დაუშავებია, მაგრამ ასეთია კაცის მოშლილი ბუნება,—ვერ დაიფარავს ცუდი საქციელისაგან ვერაფერი: ვერც ანაფორა, ვერც მუნდირი, ვერც ჩინი და ვერც ორდენები....

მე არ მგონია, რომ ისეთი ბრიყვი გამოჩნდეს ვინმე იუდას საქციელისათვის დანარჩენი თერთმეტი მოციქულები აუგოს და ყველას გამცემელი დაუძახოს. მაგრამ იმისთანები კი სწორედ ბევრნი არიან, რომელნიც ერთი მღვდლის ცუდის საქციელისთვის ... სამღვდელოებას ლანძღვენ. ერთმა მღვდელმა, რომ ფული გამორთვას მეტი რომელიმე მღვდელ-მოქმედებისთვის, მაშინვე დაიწყებენ ყვირილს: მღვდლები ფულებს ახდევინებენ მღვდელ-მოქმედებისთვისო! ვსთქვათ, ერთი მღვდელი ნახეს დამთვრალი. შეიქმნება ყვირილი:—მღვდლები თვრებიანო! სამღვდელოება ზნეობით დაცემულიაო! და სხვა ამისთანები....

ამას ჩადიან მარტო სამღვდელო წოდებაზე. სხვა წოდებაში ამას ვერ ნახავთ. იქ სულ სხვანაირად სჯიან. ჩვენ ჩვენის თვალით გვინახავს ერთი პროკურორი ოლქის სასამართლოსი, მთვრალი შედიოდა სასამართლოში და ერთ ჯერ ხელით გამოიყვანეს იმ დროს, როდესაც გასამტყუნებელი სიტყვა უნდა ეთქვა. მაგრამ აქედამ არავის არ გამოუყვანია ის დასკვნა, რომ ყველა პროკურორები ლოთები არიანო. გადახედეთ და დააკვირდით ყველა წოდებას. რას ჩადიან ზოგიერთები? მაგრამ მათი მოქმედებიდამ საზოგადო დასკვნა არავის არ გამოჰყავს. ამ შემთხვევაში, საუბედუროთ, მხოლოდ სამღვდელო წოდებას ექცევიან ასე უაჯაოთ...

სასულიერო წოდება ზნეობითაც ძლიერ მაღლა დგას ყველა სხვა წოდებაზე მრთელს სახელმწიფოში. აიღეთ და გადაშალეთ სისხლის სამართლის საქმეების რიცხვი. აქ ნახავთ თქვენ ყველა წოდების მრავალ პირთ დასჯილს და გასამართლებულს; მაგრამ ძლიერ იშვიათ შეხვდებით მღვდელს საქმეს. სისხლის სამართლის კანონი ხომ ყველას ერთად სჯის დამნაშაობისათვის. სისხლის სამართლის სტატისტიკური ცნობებიდამ სჩანს, რომ ასი ათას კაცში ორი სამღვდელო პირი გამოდის დამნაშავე, ოც-და-თექვსმეტი გლეხი, ცხრა ას ათი აზნაურნი, ორმოც-და-თვრამეტი საჯა-

---

თი მაგონებს და ჩემი ნამუსი მეუბნება.

— ვის წაიყვანთ თანა?

— არავის! მე ჩემი იარაღი მეყოფა.

სარდალმა გაკვირვებით შეხედა იმას და ჰკითხა:

— ჯარი რომ წაგვეყვანათ, მგონია აჯობებდა?

— თუ გაველ მარტოკაც გავალ, თუ არა და ჯარი ვერას მიშველს.

— მაშ არც ეს დანარჩენი ხალხი გინდათ?

— მე-კი არ მინდა და თუ გნებავსთ ცალკე წავიდნენ. იქნება მე შემემთხვას რამე და ეგენი ჩემზედ ბედნიერები იყვნენ.

სარდალმა გადაწყვიტა, რომ დღეს ათაჟუყოს გაისტუმრებდა, ხვალ კიდევ რამდენიმე კაცს და ამ გვარად ყოველ დღევე მიკრიკებს გზავნიდა. ამ გვარად იმას იმედი ჰქონდა, რომ ერთიც იყო მიაღწევდა მიზანს და დაიხსნიდა ჯარს ვაჭირვებისგან, თორემ აგერ თორმეტი დღე იყო, რაც მომწყვდეული ჯარი ექვსის დღის სურსათით სცხოვრებდა. მხლო ჯარს სრულებით აღარა ჰქონდა-რა და ცხენებს თუ მიჰყოფდნენ ხელს. თითონ სარდალი იმ მდგომარეობამდის მისულიყო, რომ ერთს აფიცერს, როგორღაც შერჩენოდა რამდენიმე დაყენება ჩაი და ნახევარ გირვანქამდის შაქარი, რომლის სათხოვნელად თავის ფეხით მივიდა და ამ აფიცერმა შუაზედ გაუყო ეს უყუათო სასმელი.

აქედგან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო დანარჩენი ჯარი, თუ თითონ სარდალი ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

შემოღამდა და სარდალის ქოხში მივიდა ათაჟუყო, რომელსაც ცრემლიანის თვალებით გამოესალმა ჯარის უფროსი. მხლა ის ლოცავდა მამაშვილურად ჩერქეზს და ისურვებდა ყოველს კეთილს იმისთვის. სარდალი ჰპირდებოდა ყოველ გვარს შემწეობას და წყალობას, თუ ღმერთი აღირსებდა ამ ეშმაკთ საცხოვრებელის ტყიდგან მშვიდობიანად გამოსვლას.

ათაჟუყომ უკანასკნელად ახსენა ღმერთის სახელი და გამოვიდა გარეთ. ხშირი ბურუსი, რომელიც დაბლა ჩამოწოლილიყო და კუნთ-კუნთად იდო დედა-მიწაზედ, ძალზედ აბნევდა იქაურობას. ათაჟუყო გაბრუნდა სწორედ იქითკენ, საითკენაც რუსის ჯარი არას გზით არ გაბედავდა წასვლას და მაშასადამე ჩეჩენთ მცველები ამ მხრით უფრო უზრუნველად უნდა ყოფილიყვნენ.

ის, რა მიახლოვდა ტყეს, გაწვა და გველსავით მიცურავდა ბალახებში, სანამ პირველ ბუჩქებს მოეფარებოდა; აქ წამოდგა გაიმართა და ყური დაუგდო კარგა ხანს. იმას მარჯვენა მხრიდგან რაღაცა ლაპარაკი მოესმა და გაარჩივა ცეცხლის შუქი, რომელიც ისე გამობჟუტამდა სქელს ნისლში, თითქოს ცეცხლი ფარდას უკან ენთებოდა. იმან სიფრთხილით წასდგა რამდენიმე ნაბიჯი და იქამდინ მიუახლოვდა იმ ადგილს, რომ აშკარად გაარჩივა რამდენიმე ჩეჩენი, რომელნიც ცეცხლს შემოსხდომოდნენ და მხიარულად ლაპარაკობდნენ.

— დაიცა! რაღაცა ხმაურობა მომესმა. წარმოსთქვა ერთმა და ყველანი გაჩუმდნენ.

— არაფერი, აქეთ ვინ მოვა? უზრუნველად უპასუხა მეორემ. უთუოდ მოგეჩვენა.

— მეტს სიფრთხილეს თავი არა სტკივა, წამოიძახა ისევ პირველმა.— „კორი“ ადექ ერთი მიიარ-მოიარე.

კორი, რომელიც ყველაზედ უნცროსი იყო, წამოდგა, აიღო თოფი ხელში, მიიარ-მოიარა, რამდენჯერმე გაუარა გვერდს ათაჟუყოს, რომელიც სულ-გაკმენდილი ხეს აჰკროდა, და რადგანაც სიბნელისა და ნისლის გამო ვერავინ შეამცნივა, ისევ ამხანაგებთან მივიდა და დაჯდა.

— არავინაა.

იმათ დაიწყეს ისევ უზრუნველი ლაპარაკი, რომელიც შეეხებოდა წარსულს ბრძოლას და ბოლოს გადავიდნენ იმაზედ, რომ შამილმა მთელი ჯარი ქვეიდგან მოუქცია რუსებს და ესენი ეხლა ვეღარა ღონის ძიებით ვერ გავიდოდნენ. ამ ლაპარაკიდგან ათაჟუყომ გაიგო, საითკენ უფრო ბევრნი იყვნენ ჩეჩენნი და საით ცოტანი და მაშასადამე უფრო უშიშრად მგზავრობა შეიძლებოდა.

ის წყნარად გაშორდა მყსაუბრეთ, და შევიდა ტყეში. ის სრულებით იმის პირ-და-პირ, უკან მიდიოდა, სადაც ჩასვლა უნდოდა; მერე შოუხვია გვერდზედ და ისე იარა კარგა ხანს. ალიონმა აიწია. როდესაც იმან სრულებით მოპირდაპირე მხრიდგან მშვიდობიანათ მიაღწია ფრეიტაგის ბანაკს და მიართვა უმთავრესი სარდლის წერილი.

ფრეიტაგმა საჩქაროთ მოაგროვა, რისაც მოგროვებ შეიძლებოდა, მოამზადა ჯარები და გაემართა გაჭირვებულის მომწყვდეულის ხალხის მოსაშველად. დიდის გაჭირვებისა და ბრძოლის შემდეგ, იმან მიაღწია ტყის შუა ადგილს, სადაც მოეშველა

...მოქალაქენი და ორას ოცი ...ნები და დაბალი მოსამსახურე ...ნი...

...ც ვსთქვით იქამ გამოდის, ...ა სამღვდელო წოდებაშიაც არიან ...ერთი ზნე-დაცემული პირები, ...მ არ შეიძლება ამ ერთი-ორი ...ის გამო მთელი სამღვდელოება ...ლოს კაცმა და უსარგებლო წოდათ გამოიყვანოს. სამღვდელოება ...მითად ძლიერ მაღლა დგას ყველოდებაზე. მღვდელი არის ზნეობ...დაგებელი. ამისთვის როდე...ში ხედვენ მცირე უზნეობასაც ...თობრქალიბას ახდენს ხალხზე ...ურე რამეც. ხშირად მღვდელის ...ენ იმისთანა საქმისათვის, რო...ც სხვა, ერის კაცს კიდეც მოუ...ენ!

სოფლის მღვდელი.

## წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

„დროების“ 216 №-ში დაბეჭდილი ...მდეგი ცნობა:

„...დღეებში ჩამოსულა ქუთაისის ...ტონოვი ადგილობრივ სამთავ...ში სამოქალაქო საქმეთა და აგ... სამიჯნავეთა გასაცნობელად ...ნო ნაწილში, თითქმის ყველა ...ახურეთ, როგორც კი ბ. პლა...ვის ჩამოსვლა შეუტყვიათ, იმ ...ე სოფლებში ამოუყვიათ თავი, ...სიტყვით—მოქვემდებარე ინს...ების რევიზიისათვის.

...საჭიროთ არა ვრაცხ განხილვაში ...და შევადგინო ღირსეული დასკვ...ზედ, თუ რით ხელმძღვანელობდა ...განზრახვა ჰქონდა ავტორს, როცა ამ „ცნობას“ ადგენდა. ყოველი პირი მოვალე არის ყოველ თავის მოქმედებაში უპირველესად თავის სინიდისს მისცეს პასუხი. მის სინიდისისათვის მიგვინდია დაათვალოს მისგან გამოგზავნილი ცნობა.

მე, რაც შეიძლება, მოკლეთ მოვიყვან ნამდვილ გარემოებას აღმოსულ კითხვისას და თუ ვინმე ეჭვს შემოიტანს ამ ჩვენს ნათქვამში, ვთხოვთ აგვიხსნას ჩვენი შეცდომილება.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ არც ქუთაისის ოლქის სამჯავროს, არც მის თავმჯდომარეს და არც არავის სხვას აქ მოსამსახურეთ არავითარი ცნობა, არც ოფიციალურათ და არც კერძოთ, მიღებული არ ჰქონია იმაზედ, რომ ამ ოკტომბრის თვეში ქუთაისში ჩამოვიდოდა ვინმე ადგილობრივ სამჯავროების სამოქალაქო და სამიჯნავ საქმეების განსახილავათ და ამის გამო არავის ამ თვეში არავინ არ მოელოდა. იქნება ზემოხსენებულ „ცნობის“ ავტორმა იცის რამე და ამისთვის მას ვთხოვთ აგვიხსნას: როდის, ვინმეს ჩვენ სამჯავროში მოსამსახურეთაგანს, და ვისგან მოვიდა ამბავი, რომ ბ. პლატონოვი უნდა მობძანებულიყო ამ თვეს ქუთაისს მოხსენებულ საქმეების განსახილველათ?

ამბობდნენ დაჭეშმარიტებით, რომ ბ. პლატონოვი ამ საქმეებზე ჩამოვაო ქუთაისს აგვისტოსს თვის დამლევს, ან სეკტემბრის პირველ რიცხვებში, მაგრამ არამც თუ პირველ რიცხვებში, მთელი სეკტემბერი ისე დასრულდა, ის ქუთაისს არ ჩამოსულა. ამასთან გავრცელდა ხმაც, ვითომც სრულებით ველარ მოვაო ქუთაისს, რადგანაც ცოტახნის განმავლობაში უნდა აღასრულოს ტფილისში მრავალი უმთავრესი მინდობილობა და დაემუროს პეტერბურღში წასვლასაო.

თუმცა ბ. რევიზორის მოსვლაზე ზემოხსენებულზედ მეტი ჩვენ არა გვცოდნია-რა, მაგრამ ყველა სამჯავროს მეჯევის წევრები ფეხმოუცვლელათ იყვნენ ქუთაისში მთელი წარსული სეკტემბერი, მოუხედველათ მისა, რომ მათთვის საჭირო იყო უეზდებში გასვლა აღსასრულებლათ მათ პირ-და-პირ სამსახურის მოვალეობისა, რომლის სფერაში უმთავრესი ადგილი უჭირავს ზემლემრების ადგილობრივ მუშაობას, თვალ-ყურის გდებას.

დადგა ოკტომბრის თვე. ზემლემრების მინდვრათა მუშაობის დრო თავდებოდა; აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა, რომ ზოგიერთ მათგანის ადგილობრივ მუშაობა გაშინჯულიყო. ამისთვის და აგრეთვე აღსასრულებლათ ოლქის სამჯავროს ზოგიერთ მინდობილობისა, რვას ამ თვეს წაველ მე ოზურგეთის უეზდში და ამ ჩემს წასვლაზე იმავე დღეს ვაცნობე ტფილისის სამჯავრო პალატის მეჯევის ნაწილს, ხოლო ქუთაისის ოლქის სამჯავროს თავმჯდომარეს ეს ჰქონდა მოხსენებული ერთი კვირის წინეთ. შემდეგ ჩემის დაბრუნებისა ქუთაისს, შევიტყე, რომ 12 ამ თვეს 4 საათზე ნაშუადღევს სრულიად მოულოდნელად მოსვლოდა სამჯავროს თავსმჯდომარეს ბ. პლატონოვისგან ტელეგრამმით ცნობა მის მოსვლაზედ და საღამოს იმავე დღეს კიდეც ჩამოსულა ქუთაისს. ბ. რევიზორი დარჩენილა აქ მხოლოთ ერთი ღამე და მეორეს დღეს დილით ისევ დაბრუნებულა ტფილისს.

ვერ გაგვიგია, ამ გვარ საქმის მომდინარეობაში როგორ უნდა აგვეცილებინა თავიდამ რევიზია? რომ სწორეთ ეს განზრახვაც გვქონოდა ჩვენ, ნუ თუ ქუთაისიდამ სოფლებში გასვლით შესაძლებელი იყო რევიზიის თავიდან მოშორება?

გარწმუნებთ, რომ არა თუ გვაქს რამე ჩვენ მოსარიდებელი რევიზიისა და ვერიდებოდით ამას, არამედ დიდათ გვსურდა, რომ ბ. რევიზორი მობრძანებულიყო და ადგილობრივ შეეტყო ის ნაკლულოვანობა და გამოსადეგნი მხარენი მიჯნის საქმისა, რომელნიც აღმოაჩინა აქ 14 წლის პრაქტიკამ და ეკუთვნის ქუთაისის გუბერნიას, რომელსაც აქვს განსაკუთრებითი თვისებანი. ჩვენ დიდათ გვსურდა ჩვენის გამოცდილებით რაიმე სარგებლობა მოგვეტანა იმ ცვლილებისათვის, რომელსაც ფიქრობენ მოახდინონ სამიჯნავ წესებში. ჩვენ გვეგონა, რომ ამ დროს, როდესაც ამ წესების ცვლილებას აპირებენ, ადგილობრივი რევიზია აუცილებელი საქმე იყო და ეს რევიზია გამოიწვევდა ბ. რევიზორს, სამიჯნავ ნაწილში მოსამსახურეთ პირთა შორის გულწრფელობით მოლაპარაკებას და გარკვევით საქმეების გაშინჯვას, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, აქამდის ვერ მოვესწარით ამ შემთხვევას.

ქუთაისის ოლქის სამჯავროის
სამიჯნაო ნაწილის წევრი
ერ. სიდამონიძე-ერისთავი.

19 ოკტომბერს.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს. გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ზახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობი...

...ვეევი ჯარი, რომელიც გაძლომის ..., ერთი ორად გაავაჟკაცა და ...ფით სულის მოსაბრუნები სუ...გაიტანეს. აქ დარჩნენ სამს ... რომლის შემდეგაც გამობრუნ...უკან და მილიციის განსა...ებითი გულადობით და თავ...ულის ვაჟკაცობით გამოვიდნენ...

...უკანასწკნელმა ბრძოლამ პარან...დაანახვა, რომ მარტო ჯარის ...ლე და შეუპოვარი ძალის მი...ა კმარა ჩეჩენთ დამორჩილე...ს; მდებარეობა და ხალხის თავ...ფით ბრძოლა სთრგუნამდა რუსე...ცადინეობას, ძალას და შეუპოვ...იქნება რიგი ბრძოლა ეჭირვებო...ურილს, ადგილებზედ ყაზახების ...ებით და ამ დღიდგან დაიწყეს ...რი ბრძოლა, რომელმაც ბო...უულო ამ მუშას, მეომარს და ...ანს ხალხს.

...ლმაც თუ სულ არა, ნახევრად ...ლა თავისი დაპირება.—იმან ...ე გააჩანგა იქ მყოფი რუსე...ლა, მაგრამ ახალ ახალი ჯარი, ... რუსეთიდგან ხელ ახლად ... დაკლებულების ადგილს და ...ლად მოიბძოდა წინ.

...ლმა ვერ მოასწრო ყველა ... საზოგადოების ერთმანერთთან შაერთება, სანამ რუსის ძალა ხელ ახლად თავს მოიყრიდა და ხელ ახლად დაიწყებდა იმის წინაამდეგს მოქმედებას.

—

იავომ, ჩორამ და იმის ამხანაგებმა, რა ნახეს, რომ აქ საქმე გათავდა, გამოეთხოვნენ შამილს და წამოვიდნენ სააბრაგოდ, როგორც მაშინ უსახლკარია, ცარცვით მცხოვრებს ხალხს ეძახდნენ.

პირველი იმათი მოქმედება იყო, ახლად დასახლებული სტანიცებიდგან ჯოგების ტაცება და ჩეჩენთ მხარეს გაყვანა, სადაც ჰყიდნენ ნახევარ ფასად.

ისინი გაფიცულნი ერთმანერთან, ღვთის რისხვად შეიქნენ ახლად დასახლებულის, გამოუცდელი რუსებისთვის, რადგანაც მოულოდნელად ხან სად გაუჩნდებოდნენ და ხან სად.

იმათ ბევრი ცხენი გაიტაცეს, ბევრს გასუქებულ ხარს გაუგდეს ყელში დანა, ბევრი რუსი გადაამბრუნეს და ბოლოს მიახლოვდნენ ძაუგს, სადაც ღამე უშიშრად შედიოდნენ, თუმცა მთელს ქალაქს, დარაჯებად გარს შემორტყმული ჯარი ჰყავნდა და თითონ ქალაქშიაც ცოტა მცველები არ დადიოდნენ.

მაენი ამ ცხოვრებაში იყვნენ, როდესაც ერთს საღამოს ს. სტეფანწმინდის მახლობლად, ყუროს ხევში, პოვოსკა სამ ცხენს შებმული იდგა. კაცი, რომელსაც იამშჩიკის ხალათი ეცვა, მოუთმენელად დადიოდა ცხენების წინ, რაღასაც ბუტბუტიადა და ხან გამოშვებით შეჰყურებდა ცას.

— დაიგვიანებენ, ბეჯითად დაიგვიანებენ! ბოლოს წამოიძახა იმან და მოუთმენელად გადააფურთხა.

ამან ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც ბნელაში, რიყეზედ ჯერ გაფთხილებული ფეხის ხმა მოისმა და მერე, ცის ტატანობაზედ, ორი კაცის სურათი გამოჩნდა.

— ძლივს! მოუთმენლად წამიძახა აქ მყოფმა, რა უცნობები მოუახლოვდნენ.—რაი მოგივიდათ?

— დრო ვერსაით დავახელეთ, შენაი ჭირიმე, დრო! ჯარი რაიმე მოვიდა, სახლებში აყენებდნენ, ხალხი დადიოდა. უპასუხა მოსულმა.

— აბა, ნულარ გვიანობთ, ჩაჯე ნუნუ.

ერთმა მოსულთაგანმა გადიგდო ნაბადი და გამოჩნდა ნუნუ, რომელის ძაუგს წაყვანა ძლივს მოეხერხებინა ჯლუნას.

ნუნუ ჩააწვინეს ტროიკაში, გადააფარეს ნაბადი, დააყარეს ზეიდგან თივა; ჯლუნა, კუჩრის ტანისამოსით, დაუჯდა ტროიკას, დასტვინა ცხენებს და მოისმა თვლების რახრახი.

კაცმა, რომელიც იქ დარჩა, მოიხადა ქუდი და შეზძახა:

— ღმერთმა ხელი მოგიმართოსთ! თავის წყალობა გაგატანოსთ სპარსანგელოზმა!

ტროიკა, რომელსაც ნუნუ მიჰყვანდა, მიგრიალებდა მოზდოკ-ავკაზისკენ და სად-ც-კა ყარაულები შეხვდებოდნენ და დაუძახებდნენ:

— ვინ მოდის?

ჯლუნა უპასუხებდა დამშვიდებით:

— ფოჩტის ტროიკაა, უფროსი რაიმე მყვანდა და ცოტა მომგვიანდა „სოფელში“... თამბაქო თუ არვისა გაქვს? სთხოვდა ის, რათა დაენახვებინა ყაზახებისთვის თავისი უზრუნველობა.

ყაზახები ცხენ და ცხენ გადახედამდნენ, მისცემდნენ თამბაქოს, და რა ცარიელს, მარტო თივით ტროიკას დაინახამდნენ, დამშვიდებულნი თავიანთ გზას გაუდგებოდნენ.

ა. მოხსუბარიძე.

(გაგრძელება)

სა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ქირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ქირურგიული ავადმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ქირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ქირურგიული ავათმყოფობისა; ბასხუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

20 გიორგობისთვეს, შაბათს,

დანიშნული

## კრება,

რომელზედაც უნდა შემუშავდეს და გამოიკვლიოს ქართული ტერმინები ყველა სასწავლო საგნებისა. მსურველთ ამ კრებაზე დასწრებისა სთხოვენ დანიშნულ დღისათვის შეჰკრიბონ, როგორც მზა ქართული ტერმინები, აგრეთვე გამოსაკვლევი—ახლები, რომელნიც გარჩეულ იქმნებიან კრებაზე.

უმორჩილესად სთხოვენ აგრეთვე ქალაქს გარეშე მცხოვრებთა, რომელთაც კი შეუძლიანთ ამ საქმეში დახმარება—თავის ცნობები გამოგზავნონ ამ ადრესით: **Тифлисъ, городское Ремесленное Училище, преподавателю А. Гуладзе,** ანუ **І. Мревлишвили.** (10—1)

მე 19 და 7 მუხლის ძალით ქუთაისის გიმნაზიის **მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების** წესდებისა განმკარგულებელს კომიტეტს ამა საზოგადოებისა პატივი აქვს სთხოვოს ბ.ბ. წევრთ საზოგადოებისა და აგრეთვე ყველას, მსურველს წევრად ჩაწერისა, მობრძანდნენ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზედ, 31 ოქტ. ამა 1882 წ. გიმნაზიის სხდგომში, დღის 11 საათზედ. (3—2)

**უმაწვილი ქალი,** რომელმაც კარგათ იცის ყოველი ხელ საქმე როგორათაც ხელით, ისეთაც მაშინით, **ეძებს ალაგს მკერავათ პატიოსან სახლში თვეობით.** ადრესი გაბაშვილის სახლში, ვერაზედ № 4. (8—6)

**ღირსეულს და განათლებულს** ოჯახში მიიღებენ ქალებს საქალებო სასწავლებლებში მოსამზადებლად.

პირობების შეტყობა შეიძლება ბორში, ბატ. დირექტორ სემენოვის ოჯახში. (10—8)

**სომეხთ ნერსესიან სასულიერო სემინარიის მზრუნველობა** ამით აცხადებს, რომ სამ ნოემბერს ამა 1882 წ., საღამოს 7 საათზ., დანიშნულია ვაჭრობა, **იჯარით გაცემაზედ** სემინარიის **სოღანლუღის ბაღისა.** პირობითა შეტყობა შეიძლება მზრუნველობის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 10 საათ.—12 საათ. (3—1)

**„გამასესხებელი კასსა გ. ი. ბარამოვისა და კამპ“.**

**ქ. ქუთაისში.**

აცხადებს, რომ 5-ს და 12-ს ნოემბერს ამა წლისა დილის ათ საათიდგან, ამა კასსის წინ გაისყიდება აუქციონით ის გირაოები, რომელიც არ არის დახსნილი შემდეგ ორის ლგოტისათვისა, ე. ი. ოქროსი, ვერცხლისა და სხვა ნივთები. (5—1).

ახალი წიგნი

**ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე**

შემოკლებული

**საქართველოს**

## ისტორია

შედგენილი რომან ცანციევისაგან.

**1882 წ.** ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

გ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

სასტატო ინსტიტუტში კურს დასრულებულს ქსურს აძლიოს

**გაკვეთილები**

პირობების შეტყობა შეიძლება „დროების“ რედაქციაში. (10—4)

**ახალი ქართული**

## ქარაგადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი უდიანის ერთი მანეთი.**

საწერი

## დედანი

შედგენილი და გამოცემული პეტ. უმიკაშვილისაგან. ტფილისი 1878 წ.

ფასი სამი კაპეიკი

საწერის ქაღალდის მეოთხედ თაბახზედ, შეიცავს ხუთს სავარჯიშოებს: 1) ანბანის დედანს მაგალითით; 2, მაგალითს მხედრულის ხელისას; 3) ანბანის დედანს გაბმხედრულის ხელით წიგნიდამ გადმოწერისას; 3) ანბანის დედანს გაბმულის ხელისას; 4) დედანს (იგივე მაგალითი) გაბმულის ხელით გადმოწერისათვის; 5) უმთავრესს სასწორო მაგალითებს სასოფლო ქონებისათვის გადასხმისას.

ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდთან და ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში, ოკრიუჟნოი სუდის ქვეშ.

ასის და მეტის ეგზემპლ. მსურველს შეუძლია შემდგენელისაგან დაიბაროს და გასაგზავნი ხარჯი არ დასჭირდება.

ინგლისის მაღაზიაში

თმის აღ-მყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—6)

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ.-დ.-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

აღაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

**ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.**

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

**ტაქსია**

**საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ოკტომბრიდამ 15 ოკტომბრამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის | „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4½ |

ჭვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 8 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 8 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | — | 1 გირ. | — კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | — კ. |

## წმიდა სანთლის საწყობი დახურულ ბაზარში;

სადაც ისყიდება ყოველი გვარის წმიდა სანთელი თეთრი და ყვითელი მოსკოვის თავი ქარხნებისა. სხვა ქალაქებიდამ მსურველთ შეუძლიანთ მოიწერონ ამ ადრესით. *Тифлисъ, Григорію Павловичу Арешову.* შეიძლება საქონლის გამოგზავნა თუთუნოვების ანუ სხვ. კანტორით, პირობები შეიძლება გაიგოთ წერილით. (3—2)


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Октября 1882 г.* **Типографія Меликова** გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი